სსპ
არბიტრაჟის წესები

2023

ქართული

SCC
Arbitration
Institute

არბიტრაჟის მოდელური დებულება

ნებისმიერი დავა, უთანხმოება, ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ან უკავშირდება ამ ხელშეკრულებას ან მის დარღვევას, შეწყვეტას ან ბათილად ცნობას, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით, სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

რეკომენდებული დამატებები:

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი უნდა იყოს [...].

საარბიტრაჟო ენა უნდა იყოს [...].

წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება [...]-ის მატერიალური სამართალით.

სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები

მიღებულია სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის მიერ და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

სსპ საარბიტრაჟო საარბიტრაჟო შეთანხმებით, რომელიც მიუთითებს სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტის ან სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესებზე, მიიჩნევა, რომ მხარეები თანხმდებიან ქვემოთ მითითებული წესების ან მათი ცვლილებების გამოყენებაზე, რომლებიც მოქმედებს საარბიტრაჟო წარმოების დაწყების ან საგანგებო არბიტრის დანიშვნის განცხადების წარდგენის დროს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

სარჩევი

სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტი **8**

მუხლი 1	სსპ-ის შესახებ	8

ზოგადი წესები **8**

მუხლი 2	არბიტრაჟის მონაწილეთა ზოგადი ქცევა	8
მუხლი 3	კონფიდენციალურობა	8
მუხლი 4	ვადები	9
მუხლი 5	შეტყობინება და სხვა სახის კომუნიკაციები	9

წარმოების დაწყება **9**

მუხლი 6	საარბიტრაჟო განაცხადი	9
მუხლი 7	სარეგისტრაციო გადასახადი	10
მუხლი 8	საარბიტრაჟო წარმოების დაწყება	10
მუხლი 9	პასუხი	10
მუხლი 10	დამატებითი დეტალების მოთხოვნა	11
მუხლი 11	საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები	11
მუხლი 12	უარის თქმა	12
მუხლი 13	დამატებითი მხარეების ჩართვა	12
მუხლი 14	რამდენიმე ხელშეკრულება ერთ საარბიტრაჟო წარმოებაში	13
მუხლი 15	საარბიტრაჟო წარმოებათა გაერთიანება	14

საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნა **14**

მუხლი 16	არბიტრთა რაოდენობა	14
მუხლი 17	არბიტრთა დანიშვნა	15
მუხლი 18	მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ხელმისაწვდომობა	16
მუხლი 19	არბიტრების აცილება	16
მუხლი 20	არბიტრის გათავისუფლება	17
მუხლი 21	არბიტრების შეცვლა	17

საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე სამართალწარმოება 18

მუხლი 22	საქმის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემა	18
მუხლი 23	საარბიტრაჟო წარმოების წარმართვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ	18
მუხლი 24	საარბიტრაჟო ტრიბუნალის ადმინისტრაციული მდივანი	18
მუხლი 25	საარბიტრაჟო განხილვის ადგილი	19
მუხლი 26	ენა	19
მუხლი 27	გამოსაყენებელი სამართალი	20
მუხლი 28	საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრა და განრიგი	20
მუხლი 29	წერილობითი წარდგინება	21
მუხლი 30	ცვლილებები	21
მუხლი 31	მტკიცებულება	22
მუხლი 32	ზეპირი მოსმენა	22
მუხლი 33	მოწმეები	22
მუხლი 34	საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტები	23
მუხლი 35	დაუსწრებელი გადაწყვეტილება	23
მუხლი 36	უარი უფლების გამოყენებაზე	23
მუხლი 37	შუალედური ღონისძიებები	24
მუხლი 38	საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა	24
მუხლი 39	გამარტივებული წესით საქმის წარმოება	25
მუხლი 40	საქმის განხილვის დასრულება	26

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და დადგენილებები 26

მუხლი 41	საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და დადგენილებები	26
მუხლი 42	საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა	27
მუხლი 43	საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა	27
მუხლი 44	ცალკეული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	27
მუხლი 45	საარბიტრაჟო წარმოების შეწყვეტა მორიგებით ან სხვა საფუძვლით	27
მუხლი 46	საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა	28
მუხლი 47	საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება	28
მუხლი 48	დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	28

საარბიტრაჟო ხარჯები **29**

მუხლი 49	საარბიტრაჟო ხარჯები	29
მუხლი 50	მხარის მიერ გაწეული ხარჯები	30
მუხლი 51	ხარჯების ავანსი	30

სხვადასხვა **31**

მუხლი 52	პასუხისმგებლობის გამორიცხვა	31

დანართი I - ორგანიზება **32**

მუხლი 1	სსპ-ის შესახებ	32
მუხლი 2	სსპ-ის ფუნქცია	32
მუხლი 3	საბჭო	32
მუხლი 4	საბჭოს დანიშვნა	32
მუხლი 5	საბჭოს წევრის გათავისუფლება	32
მუხლი 6	საბჭოს ფუნქცია	32
მუხლი 7	საბჭოს გადაწყვეტილებები	33
მუხლი 8	სამდივნო	33
მუხლი 9	პროცედურები	33

დანართი II - საგანგებო არბიტრი **34**

მუხლი 1	საგანგებო არბიტრი	34
მუხლი 2	განცხადება საგანგებო არბიტრის დანიშვნის შესახებ	34
მუხლი 3	შეტყობინება	34
მუხლი 4	საგანგებო არბიტრის დანიშვნა	35
მუხლი 5	საგანგებო სამართალწარმოების ადგილი	35
მუხლი 6	საგანგებო არბიტრისთვის საქმის გადაცემა	35
მუხლი 7	საგანგებო სამართალწარმოების წარმართვა	35
მუხლი 8	საგანგებო დადგენილება შუალედურ გადაწყვეტილებებზე	35
მუხლი 9	საგანგებო დადგენილების სავალდებულო ძალა	36
მუხლი 10	საგანგებო სამართალწარმოების ხარჯები	36

დანართი III - საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები **38**

მუხლი 1	გამოყენების სფერო	38
მუხლი 2	არბიტრთა რაოდენობა	38
მუხლი 3	მესამე პირის წარდგინება	38
მუხლი 4	ხელშეკრულების არა-მოდავე მხარის წარდგინება	40

დანართი IV - ხარჯთა ცხრილი **42**

მუხლი 1	სარეგისტრაციო გადასახადი	42
მუხლი 2	საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადასახადი	42
მუხლი 3	ადმინისტრაციული გადასახადი	42
მუხლი 4	ხარჯები	43
მუხლი 5	უფლების მინიჭება	43

არბიტრების ანაზღაურება **44**

ადმინისტრაციული გადასახადი **45**

სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები

სსპ საარბიტრაჟო ინსტიტუტი

მუხლი 1. სსპ-ის შესახებ

სსპსაარბიტრაჟო ინსტიტუტი („სსპ”) დავებს განიხილავს სსპ საარბიტრაჟო წესების („საარბიტრაჟო წესები”), დაჩქარებული საარბიტრაჟო წარმოების წესების („დაჩქარებული საარბიტრაჟო წარმოების წესები”) და სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის მიერ მიღებული სხვა წესებისა და პროცედურების (ერთობლივად, „სსპ-ის წესები“) შესაბამისად. სსპ შედგება დირექტორთა საბჭოს („საბჭო”) და სამდივნოსგან („სამდივნო”). საარბიტრაჟო წესების თანახმად, ერთი ან მეტი არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო ტრიბუნალი („საარბიტრაჟო ტრიბუნალი”) წყვეტს დავას. სსპ-ის ორგანიზებასთან დაკავშირებული დეტალური დებულებები მოცემულია დანართ I-ში.

ზოგადი წესები

მუხლი 2. არბიტრაჟის მონაწილეთა ზოგადი ქცევა

(1) საარბიტრაჟო პროცესის განმავლობაში, სსპ-მა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და მხარეებმა უნდა იმოქმედონ ეფექტურად და სწრაფად.

(2) ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც საარბიტრაჟო წესებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, სსპ, საარბიტრაჟო ტრიბუნალი და მხარეებმა უნდა იმოქმედონ ზოგადი საარბიტრაჟო წესების შესაბამისად და გამოიყენონ სრული გონივრული ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იყოს სამართლებრივად აღსრულებადი.

მუხლი 3. კონფიდენციალურობა

თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, სსპ, საარბიტრაჟო ტრიბუნალი და საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი ადმინისტრაციული მდივანი ვალდებულია შეინარჩუნოს არბიტრაჟისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კონფიდენციალურობა.

მუხლი 4. ვადები

საბჭომ შესაძლოა ნებისმიერი მხარის განაცხადის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით გაახანგრძლივოს სსპ-ის მიერ დადგენილი ნებისმიერი ვადა, რათა მხარემ შეასრულოს კონკრეტული მითითება.

მუხლი 5. შეტყობინება და სხვა სახის კომუნიკაციები

(1) სამდივნოს ან საბჭოს ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა გაიგზავნოს ადრესატის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე.

(2) ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა გაიგზავნოს კურიერის ან რეგისტრირებული ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომლითაც შესაძლებელია კომუნიკაციის გაგზავნის დოკუმენტირება.

(3) ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც გაგზავნილია მეორე პუნქტის შესაბამისად, ადრესატის მიერ მიღებულად ჩაითვლება იმ თარიღით, რომელ თარიღშიც ის ჩვეულებრივ იქნებოდა მიღებული, გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალების გათვალისწინებით.

(4) ეს მუხლი თანაბრად ვრცელდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერ კომუნიკაციაზე.

წარმოების დაწყება

მუხლი 6. საარბიტრაჟო განაცხადი

საარბიტრაჟო განაცხადი უნდა შეიცავდეს:

(i) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სახელებს, მისამართებს, ტელეფონის ნომრებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს;

(ii) დავის შინაარსს;

(iii) მოსარჩელის პირველად განცხადებას სასარჩელო მოთხოვნის შესახებ, მათ შორის, მოთხოვნის სავარაუდო ფულად ღირებულებას;

(iv) საარბიტრაჟო შეთანხმების ან დათქმის ასლს ან აღწერას, რომლის ფარგლებშიც უნდა გადაწყდეს დავა;

(v) მითითებას, თუ რომელი საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებშია წარდგენილი თითოეული მოთხოვნა, თუ მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე;

(vi) მითითებას, თუ რომელი საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებშია წარდგენილი თითოეული მოთხოვნა, თუ მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე;

(vii) კომენტარებს არბიტრთა რაოდენობისა და საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან დაკავშირებით; და

(viii) მოსარჩელის მიერ დანიშნული არბიტრის სახელს, მისამართს, ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 7. სარეგისტრაციო გადასახადი

(1) საარბიტრაჟო განაცხადის შეტანისას, მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს სარეგისტრაციო გადასახადი. სარეგისტრაციო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო განაცხადის შეტანის თარიღისთვის მოქმედი ხარჯების გრაფიკის (დანართი IV) შესაბამისად.

(2) თუ სარეგისტრაციო გადასახადი არ არის გადახდილი საარბიტრაჟო განაცხადის შეტანისას, სამდივნო ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს სარეგისტრაციო გადასახადი. თუ სარეგისტრაციო გადასახადი არ იქნება მითითებულ ვადაში გადახდილი, სამდივნო უარს იტყვის საარბიტრაჟო განაცხადის მიღებაზე.

მუხლი 8. საარბიტრაჟო საქმის დაწყება

საარბიტრაჟო წარმოება დაწყებულად ჩაითვლება იმ დღეს, როდესაც სამდივნო მიიღებს საარბიტრაჟო განაცხადს.

მუხლი 9. პასუხი

(1) სამდივნო მოპასუხეს გაუგზავნის საარბიტრაჟო განაცხადის ასლს და ყველა თანდართულ დოკუმენტს. სამდივნო დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოპასუხემ უნდა წარადგინოს პასუხი სსპ-ში. პასუხი უნდა შეიცავდეს:

(i) ნებისმიერ შედავებას საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და საარბიტრაჟო შეთანხმების დასაშვებობის შესახებ, თუმცა ამგვარი შედავების არ დაყენება, მას არ ართმევს უფლებას დააყენოს ასეთი პრეტენზია ნებისმიერ დროს, მათ შორის საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის მომენტში;

(ii) საარბიტრაჟო განაცხადში მითითებული მოთხოვნის აღიარებას ან უარყოფას;

(iii) შეგებებული სარჩელის ან გაქვითვის პირველად განაცხადს, მათი ფულადი ღირებულებების შეფასების ჩათვლით;

(iv) მითითებას, თუ რომელი საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებშია წარდგენილი თითოეული შეგებებული სარჩელი ან გაქვითვის მოთხოვნა, თუ შეგებებული სარჩელი ან გაქვითვის მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე;

(v) კომენტარებს არბიტრთა რაოდენობისა და საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან დაკავშირებით; და

(vi) მოპასუხის მიერ დანიშნული არბიტრის სახელს, მისამართს, ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(2) სამდივნო გაუგზავნის პასუხის ასლს მოსარჩელეს. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოსარჩელეს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, წარმოადგინოს კომენტარები პასუხთან დაკავშირებით.

(3) მოპასუხის მიერ პასუხის წარუდგენლობა ვერ დააბრკოლებს არბიტრაჟის გაგრძელებას.

მუხლი 10. დამატებითი დეტალების მოთხოვნა

(1) საბჭოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი დეტალები ნებისმიერი მხარისგან სსპ-ში წარდგენილ წერილობით წარდგინებებთან დაკავშირებით.

(2) თუ მოსარჩელე ვერ შეძლებს დამატებითი დეტალების წარდგენის მოთხოვნას, საბჭოს შეუძლია უარი თქვას საქმის წარმოებაზე.

(3) თუ მოპასუხე ვერ შეძლებს შეგებებულ სარჩელთან ან გაქვითვის მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალების წარდგენას, საბჭოს შეუძლია უარი თქვას შეგებებულ სარჩელზე ან გაქვითვის მოთხოვნაზე.

(4) მოპასუხის მიერ დამატებითი დეტალების მოთხოვნის სხვაგვარი შეუსრულებლობა ვერ დააბრკოლებს საარბიტრაჟო საქმის წარმოებას.

მუხლი 11. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

საბჭო საარბიტრაჟო წესების
შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს, მათ შორის წყვეტს:

(i) სსპ-ს აქვს თუ არა აშკარა იურისდიქცია დავასთან მიმართებაში მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

(ii) დააკმაყოფილოს თუ არა მხარის საარბიტრაჟო პროცესში ჩართვის მოთხოვნა მე-13 მუხლის შესაბამისად;

(iii) უნდა გაგრძელდეს თუ არა რამდენიმე ხელშეკრულებისგან გამომდინარე წარდგენილი მოთხოვნები ერთ საარბიტრაჟო წარმოებაში მე-14 მუხლის შესაბამისად;

(iv) უნდა მოხდეს თუ არა საქმეების კონსოლიდაცია მე-15 მუხლის შესაბამისად;

(v) არბიტრთა რაოდენობასთან დაკავშირებით მე-16 მუხლის შესაბამისად;

(vi) არბიტრთა ნებისმიერი სახის დანიშვნასთან დაკავშირებით მე-17 მუხლის შესაბამისად;

(vii) არბიტრის ნებისმიერი სახის აცილებასთან დაკავშირებით მე-19 მუხლის შესაბამისად;

(viii) არბიტრაჟის ადგილთან დაკავშირებით 25-ე მუხლის შესაბამისად; და

(ix) ხარჯების ავანსის გადახდასთან დაკავშირებით 51-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. უარის თქმა

საბჭო უარს იტყვის საქმეზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ:

(i) სსპ-ს აშკარად არ აქვს იურისდიქცია დავაზე; ან
(ii) ხარჯების ავანსის გადახდა არ განხორციელდა 51-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 13. დამატებითი მხარეების ჩართვა

(1) საარბიტრაჟო მხარეს შეუძლია მოითხოვოს საბჭოსგან ერთი ან მეტი დამატებითი მხარის ჩართვა საარბიტრაჟო პროცესში.

(2) საარბიტრაჟო პროცესში მხარის ჩართვა მოთხოვნილ უნდა იქნეს რაც შეიძლება ადრე. პასუხის წარდგენის შემდეგ მხარის ჩართვის შესახებ მოთხოვნა არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო სხვაგვარად გადაწყვეტს. მხარის ჩართვასთან დაკავშირებით გამოიყენება მე-6 და მე-7 მუხლები mutatis mutandis.

(3) არბიტრაჟი დამატებითი მხარის წინააღმდეგ დაწყებულად ჩაითვლება იმ დღეს, როდესაც სსპ მიიღებს საარბიტრაჟო პროცესში მხარის ჩართვის განაცხადს.

(4) სამდივნო დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც დამატებითმა მხარემ უნდა წარადგინოს პასუხი მხარის ჩართვის მოთხოვნაზე. მხარის ჩართვასთან დაკავშირებული პასუხისთვის გამოიყენება მე-9 მუხლი mutatis mutandis.

(5) საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პროცესში ერთი ან მეტი დამატებითი მხარის ჩართვასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ სსპ-ს აშკარად აქვს იურისდიქცია მხარეთა შორის არსებულ დავაზე, მათ შორის ნებისმიერ დამატებით მხარეზე, რომლის საარბიტრაჟო პროცესში ჩართვაც მოთხოვნილია მე-12 (i) მუხლის შესაბამისად.

(6) საარბიტრაჟო პროცესში მხარის ჩართვის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მოთხოვნები წარდგენილია ერთზე მეტი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, საბჭო კონსულტაციას გაივლის მხარეებთან და იხელმძღვანელებს მე-14 (3) (i)-(iv) მუხლის შესაბამისად.

(7) ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭო გადაწყვეტს საარბიტრაჟო პროცესში მხარის ჩართვის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, საარბიტრაჟო პროცესში ჩართულ მხარეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

(8) თუ საბჭო გადაწყვეტს საარბიტრაჟო პროცესში მხარის ჩართვის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და დამატებითი მხარე არ ეთანხმება არც ერთ უკვე დანიშნულ არბიტრს, საბჭოს შეუძლია დაითხოვოს არბიტრები და დანიშნოს მთლიანი საარბიტრაჟო ტრიბუნალი, თუ ყველა მხარე, დამატებითი მხარის ჩათვლით, არ შეთანხმდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დანიშვნის სხვა პროცედურაზე.

მუხლი 14. რამდენიმე ხელშეკრულება ერთ საარბიტრაჟო წარმოებაში

(1) მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია რამდენიმე ხელშეკრულებასთან ერთ საარბიტრაჟო წარმოებაში.

(2) თუ რომელიმე მხარე გამოთქვამს რაიმე შედავებას იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა მის წინააღმდეგ წარდგენილი ყველა პრეტენზია განისაზღვროს ერთი საარბიტრაჟო წარმოებით, მოთხოვნები შესაძლოა განხილული იქნეს ერთ საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში იმ პირობით, რომ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სსპ-ს აშკარად არ აქვს იურისდიქცია მხარეთა შორის დავაზე.

(3) მოთხოვნების ერთი საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ უნდა გაიაროს კონსულტაციები მხარეებთან და გაითვალისწინოს:

(i) თავსებადია თუ არა ის საარბიტრაჟო შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც წარდგენილია სარჩელები;

(ii) წარმოიშობა თუ არა დაყენებული მოთხოვნა ერთი და იმავე ტრანზაქციიდან ან ტრანზაქციების სერიიდან;

(iii) სამართალწარმოების ეფექტიანობა და სისწრაფე; და

(iv) ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოება.

(4) ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭო გადაწყვეტს, რომ მოთხოვნები შესაძლოა განხილულ იქნას ერთი საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში, საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციასთან დაკავშირებით ნებისმიერ მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას იღებს თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

მუხლი 15. საარბიტრაჟო წარმოებათა გაერთიანება

(1) მხარის მოთხოვნით, საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს ახლად დაწყებული საარბიტრაჟო წარმოების გაერთიანება მიმდინარე წარმოებასთან, თუ:

(i) მხარეები შეთანხმდებიან გაერთიანებაზე;

(ii) ყველა მოთხოვნა წარდგენილია ერთი და იმავე საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე; ან

(iii) მოთხოვნები წარდგენილია ერთზე მეტი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მოთხოვნები წარმოიშობა ერთი და იმავე ტრანზაქციიდან ან ტრანზაქციების სერიიდან და საბჭო საარბიტრაჟო შეთანხმებებს თავსებადად მიიჩნევს.

(2) გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ მხარეებთან და საარბიტრაჟო ტრიბუნალთან უნდა გაიაროს კონსულტაციები და გაითვალისწინოს:

(i) მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოების ეტაპი;

(ii) სამართალწარმოების ეფექტიანობა და სისწრაფე; და

(iii) ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოება.

(3) თუ საბჭო გადაწყვეტს გაერთიანებას, საბჭომ შეიძლება გაათავისუფლოს უკვე დანიშნული ნებისმიერი არბიტრი.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნა

მუხლი 16. არბიტრთა რაოდენობა

(1) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრთა რაოდენობაზე.

(2) თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრთა რაოდენობაზე, საბჭო გადაწყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთი არბიტრისგან თუ სამი არბიტრისგან, საქმის სირთულის, დავის ოდენობისა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

მუხლი 17. არბიტრთა დანიშვნა

(1) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დანიშვნის პროცედურაზე.

(2) დანიშვნის პროცედურაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, ან თუ მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ დაინიშნა ან, როდესაც საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარეები არ შეთანხმებულან ვადაზე, დანიშვნა უნდა მოხდეს (3)–(7) პუნქტების შესაბამისად.

(3) თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთი არბიტრისგან მხარეებს ეძლევათ ათი დღე არბიტრის ერთობლივად დასანიშნად. თუ მხარეები ამ ვადაში ვერ დანიშნავენ არბიტრს, დანიშვნას ახორციელებს საბჭო.

(4) თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთზე მეტი არბიტრისგან, თითოეული მხარე ნიშნავს თანაბარი რაოდენობის არბიტრს და საბჭო ნიშნავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს. თუ მხარე დადგენილ ვადაში ვერ დანიშნავს ვერცერთ არბიტრს, საარბიტრაჟო ტრიბუნალს დანიშნავს საბჭო.

(5) როდესაც საარბიტრაჟო პროცესში რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხე მონაწილეობს და საარბიტრაჟო ტრიბუნალი ერთზე მეტი არბიტრისგან შედგება, რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელე ერთად და რამდენიმე მოპასუხე ერთად ნიშნავს თანაბარი რაოდენობის არბიტრს. თუ რომელიმე მხარე ვერ შეძლებს ასეთ ერთობლივ დანიშვნას, საბჭოს შეუძლია დანიშნოს მთლიანი საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

(6) თუ მხარეები სხვადასხვა ეროვნების არიან, ერთი არბიტრი ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე მხარეებისგან განსხვავებული ეროვნების უნდა იყოს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ან თუ საარბიტრაჟო საბჭო სხვაგვარად არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

(7) არბიტრთა დანიშვნის დროს, საარბიტრაჟო საბჭომ უნდა გაითვალისწინოს დავის ხასიათი და გარემოებები, გამოსაყენებელი სამართალი, არბიტრაჟის ადგილი, ენა და მხარეთა ეროვნებები.

მუხლი 18. მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ხელმისაწვდომობა

(1) თითოეული არბიტრი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

(2) დანიშვნამდე პოტენციურმა არბიტრმა უნდა გაამჟღავნოს ყველა ის გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას დასაბუთებული ეჭვი პოტენციური არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

(3) დანიშვნის შემდგომ, არბიტრმა სამდივნოს უნდა წარუდგინოს ხელმოწერილი განცხადება თანხმობის, ხელმისაწვდომობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რითაც შესაძლოა გამჟღავნდეს ნებისმიერი გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საფუძვლიანი ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობაზე და დამოუკიდებლობაზე. სამდივნომ მხარეებს და სხვა არბიტრებს უნდა გაუგზავნოს თანხმობის, ხელმისაწვდომობის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ განცხადებების ასლი.

(4) არბიტრაჟის მიმდინარეობისას არბიტრმა, დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა აცნობოს მხარეებს და სხვა არბიტრებს ნებისმიერი ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება დასაბუთებული ეჭვი წარმოშვას არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 19. არბიტრების აცილება

(1) მხარეს შეუძლია ნებისმიერი არბიტრის აცილება, თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც არბიტრის მიუკერძოებლობასა ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საფუძვლიან ეჭვს იწვევს, ან თუ არბიტრს არ გააჩნია მხარეთა მიერ შეთანხმებული კვალიფიკაცია.

(2) მხარეს შეუძლია მის მიერ დანიშნული არბიტრის ან იმ არბიტრის აცილება, რომლის დანიშვნაშიც მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომელიც მისი დანიშვნის შემდეგ გახდა ცნობილი.

(3) არბიტრის აცილების მსურველმა მხარემ სამდივნოს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებულია აცილების მიზეზები, მხარის მიერ აცილების მოთხოვნის გამომწვევი გარემოებების გაგებიდან 15 დღის ვადაში. თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში მხარე არ მოითხოვს არბიტრის აცილებას, ჩაითვლება რომ მან უარი თქვა არბიტრის აცილების მოთხოვნის უფლების გამოყენებაზე.

(4) სამდივნომ უნდა აცნობოს მხარეებს და არბიტრებს დაყენებული აცილების მოთხოვნის შესახებ და მისცეს მათ კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა.

(5) თუ მეორე მხარე ეთანხმება აცილების მოთხოვნას, არბიტრი უნდა გადადგეს. ყველა სხვა შემთხვევაში, საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას აცილების შესახებ.

მუხლი 20. არბიტრის გათავისუფლება

(1) საბჭო არბიტრს ათავისუფლებს თუ:

(i) საბჭო დათანხმდება არბიტრის ნებაყოფლობით გადადგომას;

(ii) არბიტრის მიმართ მე-19 მუხლით გათვალისწინებული აცილების მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ან

(iii) არბიტრს არ შეუძლია ან ვერ ართმევს თავს არბიტრის ფუნქციების შესრულებას.

(2) საბჭოს მიერ არბიტრის გათავისუფლებამდე სამდივნოს შეუძლია მხარეებს და არბიტრებს მისცეს კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა.

მუხლი 21. არბიტრების შეცვლა

(1) საბჭო ნიშნავს ახალ არბიტრს თუ საბჭოს მიერ დანიშნული არბიტრი გათავისუფლებულია მე-20 მუხლის შესაბამისად ან თუ არბიტრი გარდაიცვალა. თუ გათავისუფლებული არბიტრი დანიშნული იყო მხარის მიერ, აღნიშნული მხარე ნიშნავს ახალ არბიტრს, თუ საბჭო სხვაგვარად არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

(2) იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება სამი ან მეტი არბიტრისგან საბჭომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ დარჩენილმა არბიტრებმა განაგრძონ საარბიტრაჟო წარმოება. საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარეებს და არბიტრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ კომენტარები. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო წარმოების ეტაპი და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოებები.

(3) არბიტრის შეცვლის შემთხვევაში, ახლადშექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტს განმეორდეს თუ არა სამართალწარმოება და რა მოცულობით.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე სამართალწარმოება

მუხლი 22. საქმის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემა

როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაინიშნება და ხარჯების ავანსი დაიფარება, სამდივნო საქმეს საარბიტრაჟო ტრიბუნალს გადასცემს.

მუხლი 23. საარბიტრაჟო წარმოების წარმართვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალი არბიტრაჟს წარმართავს ისეთი წესით, როგორც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, საარბიტრაჟო წესებისა და მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმების გათვალისწინებით.

(2) ყველა შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საარბიტრაჟო წარმოება უნდა წარმართოს მიუკერძოებლად, ეფექტურად და სწრაფად. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა თითოეულ მხარეს უნდა მისცეს თანაბარი და გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია.

მუხლი 24. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ადმინისტრაციული მდივანი

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია საარბიტრაჟო წარმოებისას, ნებისმიერ დროს, სამდივნოს წარუდგინოს წინადადება კონკრეტული კანდიდატის ადმინისტრაციულ მდივნად დანიშვნის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ადმინისტრაციული მდივნის დანიშვნა ექვემდებარება მხარეთა მიერ დამტკიცებას.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კონსულტაციები უნდა გაიაროს მხარეებთან ადმინისტრაციული მდივნის ფუნქციების შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ შეუძლია ადმინისტრაციულ მდივანს გადასცეს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები.

(3) ადმინისტრაციული მდივანი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციული მდივანი დარჩეს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საარბიტრაჟო წარმოების ყველა ეტაპზე.

(4) შეთავაზებულმა ადმინისტრაციულმა მდივანმა დანიშვნამდე სამდივნოს უნდა წარუდგინოს ხელმოწერილი განცხადება ხელმისაწვდომობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რითაც უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერი გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას

დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული მდივნობის კანდიდატის მიუკერძოებლობასა ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

(5) მხარეს შეუძლია მოითხოვოს ადმინისტრაციული მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლება მე-19 მუხლით დადგენილი პროცედურის საფუძველზე, რომელიც ადმინისტრაციული მდივნის აცილებისთვის გამოიყენება mutatis mutandis. თუ საბჭო ადმინისტრაციულ მდივანს გაათავისუფლებს, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია წამოაყენოს წინადადება სხვა ადმინისტრაციული მდივნის დანიშვნის შესახებ ამ მუხლის შესაბამისად. ადმინისტრაციული მდივნის გათავისუფლების შესახებ მოთხოვნა არ უშლის ხელს საარბიტრაჟო წარმოების გაგრძელებას, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

(6) ადმინისტრაციული მდივნისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა გადაიხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადასახადიდან.

მუხლი 25. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

(1) თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საბჭო გადაწყვეტს საარბიტრაჟო განხილვის ადგილს.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ სხდომები ჩაატაროს ნებისმიერ ისეთ ადგილას, რომელსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს. საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, შეკრება და თათბირი ნებისმიერ ადგილას, რომელსაც ის მიიჩნევს მიზანშეწონილად. არბიტრაჟი ჩატარებულად ჩაითვლება საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე, მიუხედავად ნებისმიერი ჩატარებული ზეპირი მოსმენის, შეხვედრის ან თათბირის ადგილისა.

(3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილად ჩაითვლება საარბიტრაჟო განხილვის ადგილას.

მუხლი 26. ენა

(1) თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტს არბიტრაჟის ენას/ ენებს. აღნიშნულის განსაზღვრისას საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაბამისი გარემოება და მისცეს მხარეებს შესაძლებლობა იმისა, რომ მათ საკუთარი კომენტარები წარადგინონ.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მოითხოვოს, რომ თითოეულ წარდგენილ დოკუმენტს, რომელიც არბიტრაჟის ენისგან განსხვავებულ ენაზეა შედგენილი, თან ახლდეს არბიტრაჟის ენაზე შედგენილი თარგმანი.

მუხლი 27. გამოსაყენებელი სამართალი

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დავის არსებითი ნაწილი უნდა გადაწყვიტოს მხარეთა მიერ შეთანხმებულ კანონებსა ან სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ის კანონები ან სამართლის ნორმები, რომლებსაც ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნევს.

(2) მხარეთა მიერ სახელმწიფოს კანონზე გაკეთებული ნებისმიერი მითითება უნდა ჩაითვალოს, როგორც მითითება ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე და არა მისი კოლიზიური სამართლის ნორმებზე.

(3) საარბიტრაჟო ტრიბუნალი დავას წყვეტს ex aequo et bono ან როგორც amiable compositeur მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ცალსახად მიანიჭეს ტრიბუნალს აღნიშნული უფლებამოსილება.

მუხლი 28. საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრა და განრიგი

(1) საქმის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემის შემდეგ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაუყოვნებლივ უნდა ჩაატაროს საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრა მხარეთა მონაწილეობით, რათა დააორგანიზოს, დაგეგმოს და განსაზღვროს პროცედურა.

(2) საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს როგორც პირისპირ, ასევე - ნებისმიერი სხვა საშუალებით.

(3) საქმის გარემოებების გათვალისწინებით საარბიტრაჟო ტრიბუნალი და მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ ისეთი პროცედურებით სარგებლობისკენ, რომლებიც გააუმჯობესებს საქმის განხილვის ეფექტურობასა და სისწრაფეს.

(4) საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრის ან მისი დასრულებისთანავე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს საარბიტრაჟო განხილვის განრიგს, რომლითაც ასევე გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი.

(5) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, ჩაატაროს დამატებითი საქმის მართვისთვის განკუთვნილი შეხვედრები და გამოსცეს შეცვლილი განრიგები, როგორც ის ჩათვლის მიზანშეწონილად. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაუგზავნოს განრიგის ასლი და ნებისმიერი შემდგომი ცვლილება მხარეებსა და სამდივნოს.

მუხლი 29. წერილობითი წარდგინება

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი რომელიც, თუკი აქამდე არ იყო წარდგენილი, უნდა შეიცავდეს:

(i) კონკრეტულ მოთხოვნას;

(ii) ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებსაც მოსარჩელე ეყრდნობა; და

(iii) ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელსაც მოსარჩელე ეყრდნობა.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოპასუხემ უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო შესაგებელი რომელიც, თუკი აქამდე არიყო წარდგენილი, უნდა შეიცავდეს:

(i) საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობასთან, ნამდვილობასთან ან დასაშვებობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შედავებას (პრეტენზიას);,

(ii) წარდგინებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფარგლებში ეთანხმება ან არ ეთანხმება მოპასუხე მოსარჩელის მიერ წარდგენილ წინადადებას;

(iii) ფაქტებსა და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მოპასუხე ეყრდნობა;

(iv) ნებისმიერ შეგებებულ სარჩელს ან გაქვითვას და ფაქტებს და სხვა გარემოებებს, რომლებსაც ის ეფუძნება; და

(v) ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელსაც მოპასუხე ეყრდნობა;

(3) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს, რომ მათ წარადგინონ დამატებითი წერილობითი წარდგინებები.

მუხლი 30. ცვლილებები

მე-40 მუხლის შესაბამისად, წარმოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს, მხარეს შეუძლია შეცვალოს ან შეავსოს მისი სარჩელი, შეგებებული სარჩელი, შესაგებელი ან გაქვითვა იმ პირობით, რომ მისი საქმე, შეცვლილი ან შევსებული სახით, კვლავ ექცევა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაუშვებლად მიიჩნევს ასეთ ცვლილებას ან შევსებას მისი დაგვიანებით წარდგენის, მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანის ან ნებისმიერი სხვა რელევანტური გარემოების არსებობიდან გამომდინარე.

მუხლი 31. მტკიცებულება

(1) მტკიცებულებების დასაშვებობის, რელევანტურობის, არსებითობისა და მნიშვნელობის საკითხი უნდა განისაზღვროს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარეს მოსთხოვოს დოკუმენტურ მტკიცებულებებზე მითითება, რომლებზეც იგი აპირებს დაყრდნობას, ასევე დააზუსტოს გარემოებები, რომელთა დადასტურებაც სურს ასეთი მტკიცებულებებით.

(3) მხარის მოთხოვნით, ან საგამონაკლისო შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მხარეს მოსთხოვოს ისეთი დოკუმენტების ან მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც შეიძლება რელევანტური აღმოჩნდეს საქმისთვის და არსებითი გავლენა იქონიოს მის შედეგზე.

მუხლი 32. ზეპირი მოსმენა

(1) ზეპირი მოსმენა შეიძლება ჩატარდეს მხარის მოთხოვნით ან იმ შემთხვევაში თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

(2) მხარეებთან კონსულტაციის შემდგომ, გარემოებათა გათვალისწინებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტს:

(i) ნებისმიერი ზეპირი მოსმენის დროსა და თარიღს; და

(ii) ზეპირი მოსმენა ჩატარდება (ა) პირისპირ, კონკრეტულ ლოკაციაზე, თუ (ბ) სრულიად ან ნაწილობრივ დისტანციურად, ვიდეოკონფერენციისა ან სხვა კომუნიკაციისთვის მიზანშეწონილი საშუალებებით.

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილების შესახებ მხარეებს უნდა აცნობოს გონივრული ვადის მქონე შეტყობინებით.

(3) თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, ზეპირი მოსმენა ჩატარდება დახურულად.

მუხლი 33. მოწმეები

(1) ნებისმიერი ზეპირი მოსმენის დაწყებამდე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება დაავალოს მხარეებს, რომ მათ დაასახელონ ნებისმიერი მოწმე ან ექსპერტი, რომლის მოწვევასაც ისინი აპირებენ და დააზუსტონ გარემოებები, რომელთა დამტკიცებაც სურთ მხარეებს მოწმეთა ჩვენებით.

(2) მოწმეების ან მხარეთა მიერ დანიშნული ექსპერტის ჩვენებები შეიძლება წარდგენილი იყოს ხელმოწერილი განცხადების სახით.

(3) ნებისმიერი მოწმე ან ექსპერტი, რომლის ჩვენებაზეც მხარე აპირებს დაყრდნობას, უნდა დაესწროს ზეპირ მოსმენას დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 34. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტები

(1) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, რომ დანიშნოს ერთი ან მეტი ექსპერტი, რათა მან მოამზადოს მოხსენება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ წერილობით განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხზე.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტის მოხსენების მიღების შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გაუგზავნის მოხსენების ასლს მხარეებს და მისცემს მათ შესაძლებლობას, რომ წერილობითი მოსაზრებები წარადგინონ მოხსენებასთან დაკავშირებით.

(3) მხარის მოთხოვნით, მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა ზეპირ მოსმენაზე დაკითხონ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტი.

მუხლი 35. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

(1) თუ მოსარჩელე, საპატიო მიზეზის გარეშე, არ შეიტანს სარჩელს 29-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეწყვეტს საქმის განხილვას იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეს არ წარუდგენია შეგებებული სარჩელი.

(2) თუ მხარე, საპატიო მიზეზის გარეშე, არ შეიტანს შესაგებელს, ან სხვა წერილობით განცხადებას, 29-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, არ გამოცხადდება ზეპირ მოსმენაზე, ან სხვაგვარად არ გამოიყენებს თავისი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია განაგრძოს საარბიტრაჟო წარმოება და მიიღოს გადაწყვეტილება.

(3) თუ მხარე, საპატიო მიზეზის გარეშე, ვერ შეძლებს საარბიტრაჟო წესებით დადგენილ რომელიმე დებულების, მოთხოვნას, ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოცემული ნებისმიერი დადგენილების დაკმაყოფილებას, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია გამოიტანოს ისეთი დასკვნები, როგორსაც ის მიზანშეწონილად ჩათვლის.

მუხლი 36. უარის თქმა

არბიტრაჟის მიმდინარეობისას, თუ მხარე დაუყოვნებლივ არ შეედავება (პრეტენზიას არ გამოთქვამს) საარბიტრაჟო შეთანხმების, საარბიტრაჟო წესების ან საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა წესების ნებისმიერ დარღვევას,

ჩაითვლება, რომ ამ მხარემ უარი თქვა ამ დარღვევაზე შედავების უფლების გამოყენებაზე.

მუხლი 37. შუალედური ღონისძიებები

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხარის მოთხოვნით, განსაზღვროს ნებისმიერი შუალედური ღონისძიება, რომლის გამოყენებასაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მოსთხოვოს შუალედური ღონისძიებების მომთხოვნ მხარეს, რომ წარადგინოს ამ საშუალებასთან დაკავშირებული მიზანშეწონილი უზრუნველყოფა.

(3) შუალედურმა ღონისძიებამ შეიძლება მიიღოს დადგენილების ან გადაწყვეტილების სახე.

(4) საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე ან საქმის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემამდე მოთხოვნილი შუალედური ღონისძიებების შესახებ დებულებები მოცემულია II დანართში.

(5) მხარის მიერ სამართლებრივი ორგანოსთვის მიმართვა შუალედურ ღონისძიებებთან დაკავშირებით არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ან არბიტრაჟის წესებთან.

მუხლი 38. საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, საგამონაკლისო შემთხვევებში და მხარის მოთხოვნით, მოსთხოვოს ნებისმიერ მოსარჩელეს ან შეგებებული სარჩელის წარმდგენს, რომ უზრუნველყოს საარბიტრაჟო ხარჯები ნებისმიერი ფორმით, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევს საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

(2) საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი ითვალისწინებს:

(i) სარჩელების, შეგებებული სარჩელებისა და შესაგებლების წარმატების შესაძლებლობებს;

(ii) მოსარჩელის ან შეგებებული მოსარჩელის შესაძლებლობას, რომ შეძლოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მის წინააღმდეგ ხარჯების დაკისრების გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში და იმ აქტივების უზრუნველყოფას, რომლებიც შესაძლებელს გახდის ასეთი გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას;

(iii) მიზანშეწონილია თუ არა, საქმის გარემოებების

გათვალისწინებით, რომ ერთ მხარეს დაევალოს ხარჯების უზრუნველყოფის საშუალების წარდგენა; და

(iv) ნებისმიერი სხვა გარემოება.

(3) თუ მხარე ვერ შეძლებს საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის შესრულებას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმის განხილვა მთლიანად ან ნაწილობრივ.

(4) საქმის შეწყვეტასთან ან შეჩერებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს დადგენილების ან გადაწყვეტილების ფორმა.

მუხლი 39. გამარტივებული წესით საქმის წარმოება

(1) მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან მოითხოვოს, რომ მან ერთი ან მეტი ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება გამარტივებული წესით საქმის წარმოებით გადაწყვიტოს, საარბიტრაჟო განხილვაში ზედმეტი პროცედურული ნაბიჯების გადადგმის გარეშე, რომლებიც სხვა შემთხვევაში იქნებოდა საარბიტრაჟო განხილვის ნაწილი.

(2) გამარტივებული წესით საქმის წარმოების მოთხოვნა შეიძლება ეხებოდეს იურისდიქციის, დასაშვებობის ან საქმის არსებით ნაწილებს. ის ასევე შეიძლება მოიცავდეს მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ:

(i) საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტთან ან სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული მტკიცება აშკარად არაერთგვაროვანია;

(ii) მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ჭეშმარიტად ჩათვლის შემთხვევაშიც, გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით ამ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი უნდა იყოს.

(iii) საქმის შედეგისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხი, რაიმე ნებისიერი სხვა მიზეზით, მიესადაგება გამარტივებული საქმის წარმოებით გადაწყვეტილების მიღებას.

(3) მხარის მოთხოვნა უნდა აკონკრეტებდეს მის საფუძველს, მოთხოვნილი გამარტივებული წესით საქმის წარმოების სასურველ სახესა და იმის მტკიცებულებას, რომ ასეთი პროცედურის გამოყენება ეფექტური და შესაფერისია საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

(4) მას შემდეგ, რაც მეორე მხარეს მიეცემა საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა, საარბიტრაჟო

ტრიბუნალმა უნდა გამოსცეს ბრძანება რომელიც ან არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, ან - დაადგენს გამარტივებული წესით საქმის წარმოების წარმართვას იმ ფორმით, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევს.

(5) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს ყველა შესაბამის გარემოებას, მათ შორის იმასაც, თუ რამდენად უწყობს ხელს გამარტივებული წესით საქმის წარმოება დავის უფრო ეფექტურ და სწრაფ გადაწყვეტას.

(6) თუ გამარტივებული წესით საქმის წარმოების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილდება, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საკითხები უნდა განიხილოს ეფექტურად და სწრაფად. ტრიბუნალი ასევე მისცემს მხარეებს თანაბარ საშუალებას წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები 23 (2) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 40. საქმის განხილვის დასრულება

საარბიტრაჟო ტრიბუნალი საქმის განხილვას დასრულებულად გამოაცხადებს, როდესაც ის დარწმუნდება, რომ მხარეებს ჰქონდათ გონივრული შესაძლებლობა იმისა, რომ წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები. საგამონაკლისო შემთხვევებში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, რომ განაახლოს საქმის განხილვა საკუთარი ინიციატივით, ან მხარის განცხადების საფუძველზე.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და დადგენილებები

მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და დადგენილებები

(1) როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთზე მეტი არბიტრისგან, ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან სხვა მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღება არბიტრების უმრავლესობის მიერ, ან უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში თავმჯდომარის მიერ.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რომ მხოლოდ თავმჯდომარეს შეუძლია საპროცესო დადგენილებების გამოტანა.

მუხლი 42. საარტბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოაქვს წერილობითი ფორმით და თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომელსაც იგი ეფუძნება.

(2) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და 25-ე მუხლით განსაზღვრულ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს.

(3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერენ არბიტრები. თუ არბიტრი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს არ მოაწერს, არბიტრთა უმრავლესობის ხელმოწერა, ან თუ უმრავლესობით ვერ გადაწყდება, თავმჯდომარის ხელმოწერა საკმარისია, იმ პირობით, რომ ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი გადაწყვეტილებაში მიეთითება.

(4) საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაუყოვნებლივ გადასცემს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლს თითოეულ მხარესა და სსპ-ს.

(5) თუ რომელიმე არბიტრი, საპატიო მიზეზის გარეშე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის რომელიმე საკითხზე გამართულ თათბირში მონაწილეობის არ მიიღებს, აღნიშნული ვერ დააბრკოლებს სხვა არბიტრების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 43. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა

საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნას საქმის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში, 22-ე მუხლის შესაბამისად. საბჭოს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა საარბიტრაჟო ტრიბუნალის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ან თუ სხვაგვარად ჩათვლის საჭიროდ.

მუხლი 44. ცალკეული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია რომელიმე ცალკეული საკითხი ან დავის ნაწილი გადაწყვიტოს დამოუკიდებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით.

მუხლი 45. საარბიტრაჟო წარმოების შეწყვეტა მორიგებით ან სხვა საფუძვლით

(1) თუ მხარეები საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მორიგდებიან, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, ორივე

მხარის მოთხოვნის საფუძველზე, გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელშიც აისახება აღნიშნული მორიგების პირობები.

(2) თუ საარბიტრაჟო წარმოება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სხვა მიზეზით შეწყდება, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გამოსცემს ბრძანებას ან გადაწყვეტილებას, რომელშიც აისახება საქმის წარმოების შეწყვეტა.

მუხლი 46. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის გამოტანისთანავე. არბიტრაჟის წესების შესაბამისად არბიტრაჟზე თანხმობით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეასრულონ ნებისმიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 47. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება

(1) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, მხარეს, მეორე მხარისთვის შეტყობინების შემდეგ, შეუძლია საარბიტრაჟო ტრიბუნალს მოსთხოვოს გადაწყვეტილებაში არსებული ნებისმიერი ტექნიკური, ბეჭდური ან გამოთვლასთან დაკავშირებული შეცდომის შესწორება, ან გადაწყვეტილების კონკრეტული პუნქტის ან ნაწილის განმარტება. მეორე მხარისთვის მოთხოვნაზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობის მიცემის შემდეგ, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს შეასწორება ან გააკეთოს განმარტება.

(2) გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოასწოროს პირველი პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი ტიპის შეცდომა.

(3) გადაწყვეტილების ნებისმიერი შესწორება ან განმარტება უნდა იყოს წერილობითი და უნდა შეესაბამებოდეს 42-ე მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 48. დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში, მხარეს, მეორე მხარისთვის შეტყობინების შემდეგ, შეუძლია საარბიტრაჟო ტრიბუნალს მოსთხოვოს დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოთხოვნებზე, რომლებიც წარდგენილ იქნა არბიტრაჟში, მაგრამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული არ არის. მეორე მხარისთვის მოთხოვნაზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობის მიცემის შემდეგ, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი მოთხოვნას დასაბუთებულად .

მიიჩნევს, მოთხოვნის მიღებიდან 60 დღის ვადაში ტრიბუნალმა უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს შეუძლია გააგრძელოს ეს 60 დღიანი ვადა

საარბიტრაჟო ხარჯები

მუხლი 49. საარბიტრაჟო ხარჯები

(1) სარბიტრაჟო ხარჯები შედგება:

(i) საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადასახადებისგან;

(ii) ადმინისტრაციული გადასახადისგან; და

(iii) საარბიტრაჟო ტრიბუნალისა და სსპ-ის ხარჯებისგან.

(2) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებამდე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი საბჭოს სთხოვს საარბიტრაჟო ხარჯების საბოლოოდ განსაზღვრას. საბჭო მე-8 მუხლის შესაბამისად საბოლოოდ განსაზღვრავს საარბიტრაჟო ხარჯებს, სარბიტრაჟო საქმის წარმოების დაწყების დღეს მოქმედი ხარჯების ცხრილის (დანართი IV) მიხედვით.

(3) საარბიტრაჟო ხარჯების საბოლოო განსაზღვრისას, საბჭომ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედების ეფექტურობა და სისწრაფე, დავის სირთულე და ნებისმიერ სხვა შესაბამისი გარემოება.

(4) თუ საარბიტრაჟო წარმოება 45-ე მუხლის შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეწყდება, საბჭო საარბიტრაჟო ხარჯებს საბოლოოდ განსაზღვრავს არბიტრაჟის ეტაპის, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ შესრულებული სამუშაოს და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

(5) საარბიტრაჟო ტრიბუნალი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მიუთითებს საბჭოს მიერ საბოლოოდ განსაზღვრულ საარბიტრაჟო ხარჯებს და აკონკრეტებს საარბიტრაჟო ტრიბუნალისა და საარბიტრაჟო ინსტიტუტის სსპ-ის თითოეული წევრის ინდივიდუალურ ჰონორარსა და ხარჯებს.

(6) თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეთა შორის საარბიტრაჟო ხარჯებს ანაწილებს, საქმის შედეგის, არბიტრაჟის ეფექტურობასა და სისწრაფეში თითოეული მხარის წვლილისა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

(7) საარბიტრაჟო ხარჯებისთვის მხარეები სოლიდარულად და ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელნი არბიტრ(ებ)ის და სსპ-ის წინაშე.

მუხლი 50. მხარის მიერ გაწეული ხარჯები

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალს, საქმის შედეგის, არბიტრაჟის ეფექტიანობასა და სისწრაფეში თითოეული მხარის წვლილის და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილებაში, ერთ მხარეს დააკისროს მეორე მხარის მიერ გაწეული ნებისმიერი გონივრული ხარჯის გადახდა, მათ შორის- იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები.

მუხლი 51. ხარჯების ავანსი

(1) საბჭო განსაზღვრავს მხარეთა მიერ ხარჯების ავანსის სახით გადასახდელი თანხის ოდენობას.

(2) ხარჯების ავანსი უნდა შეესაბამებოდეს 49-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო ხარჯების სავარაუდო ოდენობას.

(3) თითოეული მხარე იხდის ხარჯების ავანსის ნახევარს, თუ ცალკეული ავანსი არ არის განსაზღვრული. თუ წარდგენილია შეგებებული სარჩელები ან გაქვითვის მოთხოვნები, საბჭომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ თითოეულმა მხარემ თავის მოთხოვნათა შესაბამისი ავანსები გადაიხადოს. თუ მე-13 მუხლის შესაბამისად არბიტრაჟს შეუერთდება დამატებითი მხარე, საბჭომ, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება, განსაზღვროს თითოეული მხარის წილი ხარჯების ავანსში, როგორც იგი მიზანშეწონილად ჩათვლის.

(4) საბჭომ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნის საფუძველზე, ან თუ სხვაგვარად ჩათვლის საჭიროდ, შეიძლება მხარეებს არბიტრაჟის მსვლელობისას დაავალოს დამატებითი ავანსების გადახდა.

(5) თუ მხარე არ გადაიხდის მოთხოვნილ გადასახადს, სამდივნო განსაზღვრულ ვადაში მეორე მხარეს აძლევს მისი გადახდის შესაძლებლობას. თუ გადახდა არ განხორციელდება ამ ვადაში, საბჭო უარს იტყვის საქმის განხილვაზე მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ საქმე გადაცემულია საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის, საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეწყვეტს საქმის წარმოებას მთლიანად ან ნაწილობრივ.

(6) თუ მეორე მხარე გადაიხდის მოთხოვნილ გადასახადს, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, ამ მხარის მოთხოვნის საფუძველზე, გამოიტანოს ცალკე გადაწყვეტილება გადასახადის ანაზღაურების შესახებ.

(7) საარბიტრაჟო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ან გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, საბჭოს საარბიტრაჟო ხარჯების დასაფარად შეუძლია ხარჯების ავანსის გამოყენება.

(8) საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ხარჯების ავანსის ნაწილი შეიძლება წარდგენილ იქნას საბანკო გარანტიის ან სხვა უზრუნველყოფის საშუალების ფორმით.

სხვადასხვა

მუხლი 52. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

სსპ, არბიტრ(ებ)ი, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ადმინისტრაციული მდივანი და საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტები არ არინ პასუხისმგებელნი მხარეთა წინაშე არბიტრაჟთან დაკავშირებული ქმედების ან უმოქმედობისთვის, თუ ასეთი ქმედება ან უმოქმედობა არ წარმოადგენს განზრახ გადაცდომას ან უხეშ გაუფრთხილებლობას.

დანართი I - ორგანიზება

მუხლი 1. სსპ-ის შესახებ

სსპ არის ორგანო, რომელიც აწვდის ადმინისტრაციულ მომსახურებას დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სსპ წარმოადგენს სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ნაწილს, თუმცა დავების ადმინისტრირების ფუნქციების განხორციელებისას დამოუკიდებელია. სსპ შედგება საბჭოსა და სამდივნოსგან.

მუხლი 2. სსპ-ის ფუნქცია

სსპ თავად არ წყვეტს დავებს. სსპ-ის ფუნქციაა:

(i) შიდა და საერთაშორისო დავების ადმინისტრირება სსპ-ის წესების შესაბამისად; და

(ii) ინფორმაციის მიწოდება საარბიტრაჟო და მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 3. საბჭო

საბჭო შედგება ერთი თავმჯდომარისგან, მაქსიმუმ სამი ვიცე-თავმჯდომარისგან და მაქსიმუმ 12 დამატებითი წევრისგან. საბჭოში შედიან როგორც შვედი, ისე არაშვედი მოქალაქეები.

მუხლი 4. საბჭოს დანიშვნა

საბჭოს ნიშნავს სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭო („დირექტორთა საბჭო“). საბჭოს წევრები ინიშნებიან სამი წლის ვადით და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, შეუძლიათ შესაბამისი უფლებამოსილებით ხელახლა დაინიშნონ კიდევ ერთი წევრი სამწლიანი ვადით.

მუხლი 5. საბჭოს წევრის გათავისუფლება

გამონაკლის შემთხვევებში, დირექტორთა საბჭოს შეუძლია გაათავისუფლოს საბჭოს წევრი. თუ წევრი გადადგება ან მას თანამდებობიდან გაათავისუფლებენ უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, დირექტორთა საბჭოს შეუძლია დანიშნოს ახალი წევრი უფლებამოსილების ვადის დარჩენილი დროით.

მუხლი 6. საბჭოს ფუნქცია

საბჭოს ფუნქციაა, სსპ-ის წესების შესაბამისად, დავების ადმნისტრირებისას მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მოეთხოვება სსპ-ს. ასეთი გადაწყვეტილებები მოიცავს სსპ-ის იურისდიქციის, ხარჯების ავანსის განსაზღვრის, არბიტრების დანიშვნის, არბიტრების აცილების, არბიტრების გათავისუფლებისა და საარბიტრაჟო ხარჯების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 7. საბჭოს გადაწყვეტილებები

საბჭოს ორი წევრი ქმნის ქვორუმს. თუ უმრავლესობა ვერ მიიღწევა, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა. თავმჯდომარეს ან ვიცე-თავმჯდომარეს შეუძლია საბჭოს სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები გადაუდებელ საკითხებზე. საბჭოს კომიტეტი შესაძლებელია დაინიშნოს საბჭოს სახელით გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად. საბჭოს შეუძლია გადაწყვეტილებები მისაღებად გადასცეს სამდივნოს, მათ შორის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ხარჯების წინასწარ გადახდას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადის გაგრძელებას, რეგისტრაციის საფასურის გადაუხდელობის გამო საქმის მიღებაზე უარის თქმას, არბიტრების გათავისუფლებასა და საარბიტრაჟო ხარჯების დადგენას. საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა. საქმის მიღებაზე საბჭოს ან სამდივნოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმას არ აქვს შემზღუდველი ეფექტი.

მუხლი 8. სამდივნო

სამდივნო მოქმედებს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. სამდივნო ასრულებს სსპ-ის წესებით მინიჭებულ ფუნქციებს. სამდივნოს ასევე შეუძლია მისთვის საბჭოს მიერ გადაცემული გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 9. პროცედურები

სსპ ვალდებულია დაიცვას არბიტრაჟისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კონფიდენციალურობა და არბიტრაჟს მიუკერძოებლად, ეფექტურად და სწრაფად მიუდგეს.

დანართი II - საგანგებო არბიტრი

მუხლი 1. საგანგებო არბიტრი

(1) მხარეს შეუძლია განცხადება შეიტანოს საგანგებო არბიტრის დანიშვნის თაობაზე, სანამ საქმე გადაეცემა საარბიტრაჟო ტრიბუნალს არბიტრაჟის წესების 22-ე მუხლის შესაბამისად.

(2) საგანგებო არბიტრის უფლებამოსილება განისაზღვრება არბიტრაჟის წესების 37 (1)-(3) მუხლის მიხედვით. აღნიშნული უფლებამოსილება წყდება, როდესაც საქმე გადაეცემა განსახილველად საარბიტრაჟო ტრიბუნალს არბიტრაჟის წესების 22-ე მუხლის საფუძველზე, ან როდესაც საგანგებო დადგენილებას უჩერდება სავალდებულო ძალა ამ დანართის 9 (4) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. განცხადება საგანგებო არბიტრის დანიშვნის შესახებ

საგანგებო არბიტრის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა მოიცავდეს:

(i) მხარეთა და მათი წარმომადგენლის სახელებს, მისამართებს, ტელეფონის ნომრებსა და ელ.ფოსტის მისამართებს;

(ii) დავის შინაარსს;

(iii) უზრუნველყოფის შუალედური ღონისძიების მოთხოვნას და მის დასაბუთებას;

(iv) საარბიტრაჟო შეთანხმების ან დათქმის ასლს ან აღწერას, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყდეს დავა;

(v) კომენტარებს საგანგებო წარმოების ადგილის, გამოყენებული სამართლ(ებ)ისა და წარმოების ენ(ებ)ის შესახებ; და

(vi) საგანგებო წარმოების ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტს ამ დანართის 10 (1) მუხლის მიხედვით.

მუხლი 3. შეტყობინება

საგანგებო არბიტრის დანიშვნის შესახებ განცხადების მიღებისთანავე, სამდივნო განცხადებას გადასცემს მეორე მხარეს.

მუხლი 4. საგანგებო არბიტრის დანიშვნა

(1) საბჭო უნდა ეცადოს საგანგებო არბიტრი დანიშნოს განცხადების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

(2) საგანგებო არბიტრი არ უნდა დაინიშნოს, თუ სსპ-ს აშკარად არ გააჩნია იურისდიქცია ამ დავაზე.

(3) არბიტრაჟის წესების მე-19 მუხლი ვრცელდება საგანგებო არბიტრის აცილებაზე, იმ განსხვავებით, რომ აცილება უნდა მოხდეს 24 საათის განმავლობაში, იმის შემდგომ, რაც მხარისთვის ცნობილი გახდება აცილების საფუძვლის შესახებ.

(4) საგანგებო არბიტრს არ შეუძლია მომავალში იყოს არბიტრი ამავე დავასთან დაკავშირებულ რომელიმე საარბიტრაჟო წარმოებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან ამაზე.

მუხლი 5. საგანგებო სამართალწარმოების ადგილი

საგანგებო სამართალწარმოების ადგილი უნდა იყოს ასევე ის, რომელიც მხარეებს შორის იყო შერჩეული, როგორც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ ყოფილა შეთანხმებული მხარეების მიერ, საბჭო გადაწყვეტს საგანგებო სამართალწარმოების ადგილს.

მუხლი 6. საგანგებო არბიტრისთვის საქმის გადაცემა

საგანგებო არბიტრის დანიშვნისთანავე, სამდივნომ დაუყონებლივ უნდა გადასცეს განცხადება საგანგებო არბიტრს.

მუხლი 7. საგანგებო სამართალწარმოების წარმართვა

არბიტრაჟის წესების 23-ე მუხლი ვრცელდება საგანგებო სამართალწარმოებაზე, ასეთი წარმოებისთვის დამახასიათებელი გადაუდებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 8. საგანგებო დადგენილება შუალედურ გადაწყვეტილებებზე

(1) შუალედურ ღონისძიებებზე ნებისმიერი საგანგებო დადგენილება მიღებული უნდა იყოს არაუგვიანეს ხუთი დღისა იმ დღიდან, როდესაც განცხადება გადაეცა საგანგებო არბიტრს, ამ დანართის მე-6 მუხლის მიხედვით. საგანგებო არბიტრის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ან, სხვა შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, საბჭოს შეუძლია გაახანგრძლივოს ეს ვადა.

(2) ნებისმიერი საგანგებო დადგენილება შუალედურ ღონისძიებებზე უნდა:

(i) იყოს წერილობითი ფორმით;

(ii) შეიცავდეს მითითებას მიღების თარიღის, საგანგებო წარმოების ადგილმდებარეობას და იმ მიზეზების შესახებ, რომელსაც ეფუძნება დადგენილება; და

(iii) იყოს ხელმოწერილი საგანგებო არბიტრის მიერ.

(3) საგანგებო არბიტრი თითოეულ მხარესა და სსპ-ს დაუყონებლივ გადასცემს საგანგებო დადგენილების ასლს.

მუხლი 9. საგანგებო დადგენილების სავალდებულო ძალა

(1) საგანგებო დადგენილება მხარეებისთვის სავალდებულოა მისი გამოცემისთანავე.

(2) მხარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგანგებო არბიტრს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს საგანგებო დადგენილება.

(3) არბიტრაჟის წესების თანახმად, არბიტრაჟზე თანხმობით მხარეები იღებენ ვალდებულებას საგანგებო დადგენილების დაუყონებლივ შესრულებაზე.

(4) საგანგებო დადგენილება კარგავს სავალდებულო ძალას, თუ:

(i) საგანგებო არბიტრი ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი ასე გადაწყვეტს;

(ii) საარბიტრაჟო ტრიბუნალი გამოიტანს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;

(iii) საარბიტრაჟო წარმოება არ დაიწყება საგანგებო დადგენილების გამოცემიდან 30 დღის განმავლობაში; ან

(iv) საქმე არ გადაეცემა საარბიტრაჟო ტრიბუნალს, საგანგებო დადგენილების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში.

(5) საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ არის შეზღუდული საგანგებო არბიტრის გადაწყვეტილებებითა და დასაბუთებით.

მუხლი 10. საგანგებო სამართალწარმოების ხარჯები

(1) მხარე, რომელიც მიმართავს საგანგებო არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით, განცხადების შევსებისას იხდის (2) (i) და (ii) პუნქტით განსაზღვრულ ხარჯებს.

(2) საგანგებო სამართალწარმოების ხარჯები მოიცავს:

(i) საგანგებო არბიტრის ჰონორარს, 16 000 ევროს ოდენობით;

(ii) განცხადების საფასურს, 4000 ევროს ოდენობით; და

(iii) მხარეთა მიერ გაწეულ გონივრულ ხარჯებს, მათ შორის, იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯებს.

(3) საგანგებო არბიტრის მოთხოვნის საფუძველზე, ან თუ სხვაგვარად მიზანშეწონილად მიიჩნევა, საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს ზემოაღნიშნული (2) (i) და (ii) პუნქტში მითითებული ხარჯების გაზრდა ან შემცირება, საქმის ბუნების, საგანგებო არბიტრისა და სსპ-ის მიერ შესრულებული სამუშაოს და სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.

(4) თუ ზემოაღნიშნული (2) (i) და (ii) პუნქტში მითითებული ხარჯები დროულად არ დაიფარება, სამდივნო უარს იტყვის განცხადების მიღებაზე.

(5) მხარის მოთხოვნის საფუძველზე, საგანგებო არბიტრი საგანგებო დადგენილებაში მხარეთა შორის გაანაწილებს საგანგებო სამართალწარმოების ხარჯებს.

(6) საგანგებო სამართალწარმოების ხარჯების განაწილებისას, საგანგებო არბიტრი გამოიყენებს 49 (6) და 50-ე მუხლებში განსაზღვრულ პრინციპებს.

დანართი III - საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

(1) ამ დანართში მოცემული მუხლები ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებიც არბიტრაჟის წესების შესაბამისად განიხილება იმ შეთანხმებაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორსა ან სახელმწიფოს შორის არსებულ დავებზე არბიტრაჟს.

(2) არბიტრაჟის წესების მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები გამოიყენება mutatis mutandis საფუძველზე იმ საქმეებზე, რომელიც მითითებულია ზემოთ (1) პუნქტში .

მუხლი 2. არბიტრთა რაოდენობა

(1) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრთა რაოდენობაზე.

(2) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმებულან არბიტრთა რაოდენობაზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს სამი არბიტრისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო, საქმის სირთულის, სადავო თანხის ან სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ დავა უნდა განიხილოს ერთმა არბიტრმა.

მუხლი 3. მესამე პირის წარდგინება

(1) ნებისმიერ პირს, რომელიც არც მოსარჩელეა და არც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის მონაწილე (”მესამე პირი”), შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს ნებართვისთვის, რათა წერილობითი წარდგინებით მიმართოს არბიტრაჟს.

(2) ყველა ასეთი განცხადება უნდა:

(i) იყოს შედგენილი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე;

(ii) აიდენტიფიცირებდეს და აღწერდეს მესამე პირს, მათ შორის, სადაც რელევანტურია, მის წევრობასა და სამართლებრივ სტატუსს, საერთო მიზნებს, საქმიანობის ხასიათს და რომელიმე დამფუძნებლის ან მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციას, ასევე ნებისმიერი სხვა პირს ან სუბიექტს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მართავს მესამე პირს;

(iii) ამჟღავნებდეს ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირს არბიტრაჟის ნებისმიერ მხარესთან;

(iv) აიდენტიფიცირებდეს ნებისმიერ მთავრობას, ორგანიზაციას ან პიროვნებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უზრუნველყოფს ნებისმიერი ფინანსური ან სხვა ტიპის დახმარებას წარდგინების მომზადებისას;

(v) აკონკრეტებდეს ინტერესის ხასიათს, რომელიც მესამე პირს გააჩნია არბიტრაჟის მიმართ; და

(vi) აიდენტიფიცირებდეს კონკრეტულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხებს არბიტრაჟში, რომლებიც მესამე პირს სურს განიხილოს თავის წარდგინებაში.

(3) ასეთი წარდგინების დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, დავის მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

(i) მესამე პირის არბიტრაჟში ჩართვის ინტერესის ხასიათი და მნიშვნელობა;

(ii) შეიძლება თუ არა წარმოდგენილი მოსაზრება დაეხმაროს საარბიტრაჟო ტრიბუნალს არსებითი ფაქტობრივი ან იურიდიული საკითხის გადაწყვეტაში იმგვარი თვალსაზრისის, სპეციალური გამოცდილების ან ცოდნის მეშვეობით, რომელიც განსხვავდება ან უფრო ფართოა დავის მხარეთა პოზიციებთან შედარებით.

(iii) ნებისმიერი სხვა რელევანტური გარემოებები.

(4) საარბიტრაჟო ტრიბუნალი, დავის მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, იწვევს მესამე პირს წერილობითი წარდგინების მოსამზადებლად არბიტრაჟში არსებით ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხზე. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ გააკეთებს რაიმე დასკვნას წარდგინების ან მოწვევაზე პასუხის არარსებობის საფუძველზე.

(5) თუ ნებართვა გაიცემა ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოწვევა იქნება მიღებული, მესამე პირის მიერ წარდგენილი წარდგინება უნდა:

(i) იყოს შედგენილი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე;

(ii) შეიცავდეს ზუსტ განცხადებას მესამე პირის პოზიციის შესახებ აღნიშნულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით და არავითარ შემთხვევაში არ აღემატებოდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დადგენილ ზომას.

(6) წერილობითი წარდგინების მოსამზადებლად, მესამე პირს შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს არბიტრაჟში

წარდგენილ წარდგინებებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გაიაროს კონსულტაცია დავის მხარეებთან და გაითვალისწინოს, ხოლო სადაც საჭიროა დაიცვას, ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

(7) საარბიტრაჟო ტრიბუნალს, შეუძლია დავის მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით:

(i) მესამე პირისგან მოითხოვოს დამატებითი დეტალები წარდგინების შესახებ; და

(ii) მოთხოვოს მესამე პირის სხდომაზე დასწრება, რათა განიხილოს ან გამოიკვლიოს მისი წარდგინება.

(8) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ დავის მხარეებს მიეცეთ გონივრული შესაძლებლობა, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მესამე პირის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ წარდგინებაზე.

(9) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ მესამე პირის წარდგენა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო წარმოების შეფერხებას, დამატებით გართულებას ან დავაში მონაწილე ნებისმიერი მხარის მიმართ არამართლზომიერი ზიანის მიყენებას.

(10) საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, როგორც მესამე პირის წარდგინების დასაშვებობის პირობა, მოთხოვოს, რომ მესამე პირი უზრუნველყოფს იმ გონივრული იურიდიული ან სხვა ხარჯების დაფარვას, რომლის გაწევაც დავაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუხდეთ წარდგინების შედეგად.

მუხლი 4. ხელშეკრულების არა მოდავე მხარის წარდგინება

(1) ამ დანართის 3(9) მუხლის შესაბამისად და როგორც იგი გამოყენებულია ქვემოთ მითითებული 4(4) მუხლში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაუშვებს, ან დავის მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეიძლება მიიღოს შეთანხმებასთან დაკავშირებული დავის არამოდავე მხარის წარდგინება ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება შეთანხმების ინტერპრეტაციას და არსებითია საქმის შედეგისთვის.

(2) საარბიტრაჟო ტრიბუნალს, დავაში მონაწილე მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია დაუშვას ან მიიღოს შეთანხმებასთან დაკავშირებული დავის არამოდავე მხარის წარდგინება არბიტრაჟში არსებით სხვა საკითხებზე. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, წარდგენის დაშვება-მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

(i) ამ დანართის 3(3) მუხლში მითითებული საკითხები;

(ii) ინვესტორის სარჩელის მხარდასაჭერად მიმართული წაარდგინების თავიდან აცილების აუცილებლობა, რომელიც ტოლფასია დიპლომატიური დაცვის უზრუნველყოფის; და

(iii) ნებისმიერი სხვა რელევანტური გარემოება.

(3) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ უნდა გამოიტანოს რაიმე დასკვნა, (1) ან (2) პუნქტის საფუძველზე წარდგენა ან მოწვევაზე პასუხის არ არსებობაზე დაყრდნობით.

(4) ამ დანართის მუხლი 3 (5)-(9) თანაბრად ვრცელდება ხელშეკრულების მხარე არამოდავე პირის მიერ წარდგენილ ნებისმიერ წარდგინებაზე.

დანართი IV - ხარჯთა ცხრილი

არბიტრაჟის ხარჯები

მუხლი 1. სარეგისტრაციოგადასახადი

(1) არბიტრაჟის წესების მე-7 მუხლში განსაზღვრული სარეგისტრაციო გადასახადი არის 3 000 ევრო.

(2) სარეგისტრაციო გადასახადი არ ექვემდებარება დაბრუნებას და წარმოადგენს ადმინისტრაციული გადასახადის ნაწილს, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ, მე-3 მუხლში. სარეგისტრაციო გადასახადი მიემართება ხარჯების წინასწარ გადახდას, რომელიც მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს არბიტრაჟის წესების 51-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადასახადი

(1) საბჭო განსაზღვრავს თავმჯდომარის ან ერთპიროვანი არბიტრის ანაზღაურებას სადავო თანხის მიხედვით, www.sccarbitrationinstitute.com-ზე მოცემული ცხრილის შესაბამისად.

(2) თითოეული თანაარბიტრი მიიღებს თავმჯდომარის ანაზღაურების 60 პროცენტს. საარბიტრაჟო ტრიბუნალთან კონსულტაციის შემდეგ, საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა პროცენტული მაჩვენებლის გამოყენების შესახებ.

(3) სადავო თანხა წარმოადგენს ყველა სარჩელის, საპასუხო სარჩელისა და გაქვითვის ჯამურ ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ სადავო თანხის დადგენა შეუძლებელია, საბჭო განსაზღვრავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ანაზღაურებას ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

(4) საგამონაკლისო შემთხვევებში, საბჭოს შეუძლია გადაუხვიოს ცხრილში მითითებულ თანხებს.

მუხლი 3. ადმინისტრაციული გადასახადი

(1) ადმინისტრაციული გადასახადი განისაზღვრება სადავო თანხის მიხედვით, www.sccarbitrationinstitute.com-ზე განთავსებული ცხრილის შესაბამისად.

(2) სადავო თანხა წარმოადგენს ყველა სარჩელის, საპასუხო სარჩელისა და გაქვითვის ჯამურ ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ სადავო თანხის დადგენა შეუძლებელია, საბჭო განსაზღვრავს ადმინისტრაციულ მოსაკრებელს ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით.

(3) საგამონაკლისო შემთხვევებში, საბჭოს შეუძლია გადაუხვიოს ცხრილში მითითებულ თანხებს.

მუხლი 4. ხარჯები

არბიტრ(ებ)ის ანაზღაურებასთან და ადმინისტრაციულ გადასახადთან ერთად, საბჭო დაადგენს თანხას, რომელიც ფარავს არბიტრ(ებ)ის და სსპ-ის მიერ გაწეულ გონივრულ ხარჯებს. არბიტრ(ებ)ის ხარჯებში შეიძლება შედიოდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ არბიტრაჟის წესების 34-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული ექსპერტის ანაზღაურება და ხარჯებიც.

მუხლი 5. უფლების მინიჭება

არბიტრაჟის წესების 51(1) მუხლის შესაბამისად ხარჯების ავანსით, თითოეული მხარე შეუქცვეადად და უპირობოდ გადასცემს სსპ-სა და არბიტრებს, რომლებსაც სსპ წარმოადგენს, ნებისმიერ უფლებას იმ თანხებზე, რომლებიც გადახდილია სსპ-სთვის, როგორც განგრძობადი უზრუნველყოფა საარბიტრაჟო ხარჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებისთვის.

სსპ-ის საარბიტრაჟო ინსტიტუტის არბიტრაჟის წესები

მიღებულია სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის მიერ და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან

არბიტრების ანაზღაურება

სადავო თანხა	თავმჯდომარის/ერთი არბიტრის ანაზღაურება	
(ევრო)	მინიმუმი (ევრო)	მაქსიმუმი (ევრო)
25 000-მდე	4 000	12 000
25 001-დან 50 000-მდე	4 000 + 25 000-ის ზემოთ არსებული თანხის 2%	12 000 + 25 000-ის ზემოთ არსებული თანხის 14%
50 001-დან 100 000-მდე	4 500 + 50 000-ის ზემოთ არსებული თანხის 5%	16 275 + 50 000-ის ზემოთ არსებული თანხის 5%
100 001-დან 500 000-მდე	7 000 + 100 000-ის ზემოთ არსებული თანხის 2%	18 900 + 100 000-ის ზემოთ არსებული თანხის 4%
500 001-დან 1 000 000-მდე	15 000 + 500 000-ის ზემოთ არსებული თანხის 1%	36 720 + 500 000-ის ზემოთ არსებული თანხის 3%
1 000 001-და 2 000 000-მდე	20 000 + 1 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.08%	52 920 + 1 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 2.3%
2 000 001-დან 5 000 000-მდე	28 000 + 2 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.4%	80 640 + 2 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 1.4%
5 000 001-დან 10 000 000-მდე	40 000 + 5 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.2%	127 680 + 5 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.5%
10 000 001-დან 50 000 000-მდე	50 000 + 10 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.05%	159 850 + 10 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.2%
50 000 001-დან 75 000 000-მდე	70 000 + 50 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.05%	251 850 + 50 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.12%
75 000 001-დან 100 000 000-მდე	82 500 + 75 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.03%	286 350 + 75 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.05%
100 000 001-დან	საბჭოს მიერ განისაზღვრება	საბჭოს მიერ განისაზღვრება

ადმინისტრაციული გადასახადი

სადავო თანხა (ევრო)	ადმინისტრაციული გადასახადი (ევრო)
25 000-მდე	3 150
25 001-დან 50 000-მდე	3 150 + 25 000-ის ზემოთ არსებული თანხის 5.04%
50 001-დან 100 000-მდე	4 410 + 50 000-ის ზემოთ არსებული თანხის 2.73%
100 001-დან 500 000-მდე	5 775 + 100 000-ის ზემოთ არსებული თანხის 2.205%
500 001-დან 1 000 000-მდე	15 290 + 500 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.99%
1 000 001-დან 2 000 000-მდე	23 000 + 1 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.625%
2 000 001-დან 5 000 000-მდე	29 250 + 2 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.438%
5 000 001-დან 10 000 000-მდე	42 375 + 5 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.175%
10 000 001-დან 50 000 000-მდე	51 125 + 10 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.063%
50 000 001-დან 75 000 000-მდე	76 125 + 50 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.038%
75 000 001-დან	85 500 + 75 000 000-ის ზემოთ არსებული თანხის 0.025%
	მაქსიმუმ 95 000

SCC Arbitration Institute
Regeringsgatan 29
P.O. Box 16050, SE-103 21 Stockholm, Sweden
+46 8-555 100 00
sccarbitrationinstitute.com
arbitration@sccarbitrationinstitute.com